ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი დოკუმენტები

- პოტენციური ბენეფიციარის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან (სამეწარმეო სტატუსის შემთხვევაში);
- უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ან იჯარის/აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან იჯარის/აღნაგობის ხელშეკრულება);
- ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი (იურიდიული პირის შემთხვევაში) თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე;
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა საქონლის/მომსახურების მიწოდების შემდგომ;
- სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. რძის პირველადი წარმოების მიმართულებით ხელშეკრულება აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომ აკმაყოფილებს ფერმის მოწყობის სტანდარტს (თანადაფინანსების ხელშეკრულების დანართი N3);
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული შესასყიდი პროდუქციის/მომსახურების ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება;
- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე;
- სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

დამატებით მოთხოვნილი მიზნობრიობის მიხედვით წარმოდგენილ უნდა იყოს:

- **რძის პირველადი წარმოების მიმართულების შემთხვევაში** - სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული იდენტიფიცირებული ფურების რაოდენობის შესახებ და სადგომის ნახაზი;

შენიშვნა: სადგომის ნახაზის შესაბამისობას პროგრამის პირობებთან დაადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის კონსულტანტი (ქვემო ქართლის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ფარგლებში შემოსულ განაცხადებზე).

- **ხელოვნური განაყოფიერების და ვეტერინარიის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში** - დიპლომი/სერთიფიკატი და შესაბამის სფეროში არანაკლებ 2 წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სარეკომენდაციო წერილი;

- **რძის გადამამუშავებელი საწარმოს მიზნობრიობის შემთხვევაში** - სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, საწარმოს შენობის, შესასყიდი მანქანა-დანადგარების და დაგეგმილი საწარმოებელი პროდუქციის ურთიერთშესაბამისობის შესახებ, დამატებით უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენი ტონა ნედლი რძის გადამუშავების შესაძლებლობა აქვს საწარმოს. ცნობას დანართის სახით თან უნდა ერთვოდეს ცნობის ასაღებად წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები.